

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
ხუნევის თემის მაჟორიტარი დეპუტატის
ლენა აბაშიძის

წლიური ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან, მას შემდეგ რაც ჩატარდა საკრებულოს პირველი შეხვედრა დღემდე 18 სხდომიდან, (10 მორიგი და 8 რიგგარეშე) დავესწრი 17.

საკრებულოს სხომებზე მთელი სიმწვავეთ ვსაუბრობდი და დღის წესრიგში ვაყენებდი საკითხებს ჩემი სამაჟორიტარო ოლქზე. (ხუნევი, გედსამანია, ბჟინევი, ვერტყვიჭალა, ვერტყვილა.)

სოფელი ხუნევი - ძველი საბავშვო ბაღის პერიოდში საქველმოქმედო აქციის მიზნით მყავდა ჩინური კომპანიის წარმომადგენლები, რომლებმაც საჩუქრები გადასცეს ბაღის აღსაზრდელებს; დაიგეგმა და აშენდა ახალი საბავშვო ბაღი ხუნევში, რომლის საზეიმო გახსნა იგეგმება უახლოეს მომავალში; ჩემი ინიციატივით ხუნევის საბაზო სკოლა ნაწილობრივ რეაბილიტირდა (შეეცვალა სახურავი და მოწესრიგდა სველი წერტილები);

გედსამანია- გაკეთდა ცენტრალური მაგისტრალი და სოფლის ცენტრამდე მობეტონდა გზა, მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების დაპროექტება-მობეტონება. გედსამანიის სკოლის შენობა ნაწილობრივ რეაბილიტირდა, ამჟამად მიმდინარეობს მზადება აკრედიტაციისათვის, რათა მოხდეს ცალკე ერთეულად ხუნევის საბაზო სკოლიდან გამოყოფა.

ჩემი ინიციატივით, სოფლის ცენტრში დაიდგა აფხაზეთის ომში დაკარგული ლექსო ჩადუნელის ბიუსტი, ამჟამად მიმდინარეობს ბიუსტის ირგვლივ სკვერის მოწყობა.

2021 წელს გაიხსნა პირველი საბავშვო ბაღი. (სოფელს აქამდე არ ჰქონდა); სოფელი გახდა ნაკლებ მიგრაციული რაც გამოიწვია სოფელში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებამ. სოფელ გედსამანიაში კარგად ხარობს კენკროვანი კულტურა, სეზონზე 50-60 ტონა იკრიფება (ჟოლო და მოცვი) სოფლის მოსახლეობს დიდი სურვილია სოფელში მცირდი სამაცივრე მეურნეობის მოწყობა. სოფელში გაიხსნა სამედიცინო პუნქტი და სოფელს ემსახურება ექთანი.

ბჟინევი - მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელია, სწორედ ჩემი დეპუტატობის პერიოდში მიენიჭა აღნიშნული სტატუსი. სოფლის მთავარი გამოწვევა იყო გზა, დაიწყო გზის ნაწილობრივი მობეტონება, ამ ეტაპზე დასრულებულია 1 კილომეტრი გზის მობეტონებული და შემდგომში იგეგმება 2023 წლის მთის პროგრამის ფონდიდან თანხების მოძიება და პროექტის დასრულება.

სოფელში არაერთხელ გაიმართა სამედიცინო აქცია. სოფელს ემსახურება მაღალი გამავლობის ავტომობილი, რომლითაც სკოლის მოსწავლეები გადაადგილდებიან. ვგეგმავ, მზაობის ჯგუფის გახსნა.

ვერტყვიჭალა - ჩემი ინიციატივით მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სრულად რეაბილიტირდა საჯარო სკოლა.

აშენდა თანამდეროვე, ევრპპული სტანდარტების შესაბამისი, ორჯგუფიანი საბავშო ბაღი. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტში, პროექტმა გაიმარჯვა და სოფელში მიმდინარეობს სკვერის მოწყობა (ქუჩის ტრენაჟორებისა და სხვადასხვა გასართობი ატრაქციონების მოწყობა აღნიშნულ სკვერში);

პანდემიის პერიოდში უზრუნველყავით მოსახლეობის უფასოდ ტრანსპორტირება ტესტირებებისათვის (მერიის მხარდაჭერით). განსაკუთრებულ შემთხვევებში პირადი ჩართულობით ვახერხებდი პრობლემის გადაწყვეტას. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურთან თანამშრომლობით 2 შშმ პირი გადავიყვანეთ ქუთაისის თავშესაფარში.

ვერტყვილა-აქტიურად ვარ ჩართული სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. ვამაყობ იმით, რომ მოვახერხე ოჯახური ძალადობის მსხვერპლის ოჯახის დამხარება. მოძალადე დაკავებულია, ხოლო დედა-შვილის საცხოვრებელ სახლში პირობების გაუმჯობესების კუთხით, გამოიძებნა სპონსორი, რომელიც ურემონტებს საცხოვრებელ ფართს. ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.) ოჯახს აჩუქეს, სარეცხი მანქანა და სასკოლო ნივთები.

დღემდე აქტიურად ვმუშაობ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემათა მოგვარების პროცესებში; ვთანამშრომლობ სოფლის პროექტების შერჩევა-განხორციელების საკითხებში.

აქტიური კომუნიკაცია მაქვს ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობასთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის

სამსახურებთან. მაქსიმალურად ვცდილობ დაკმაყოფილდეს ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობის საჭიროებები და ინტერესები.